

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფეი უნიქარდი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება.....	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	9
ძირითადი საქმიანობა.....	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	9
ფუნქციონირებადი საწარმო.....	9
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	9
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	10
მოგების გადასახადი.....	10
ძირითადი საშუალებები.....	11
არამატერიალური აქტივები.....	11
გადახდილი ავანსები.....	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
საწესდებო კაპიტალი.....	12
ამონაგები.....	12
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.....	12
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	16
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფეი უნიქარდი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩაატარეთ შპს „ფეი უნიქარდი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების აბზაცში წარდგენილი ინფორმაციის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩაატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავაგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დავაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

14 აგვისტო, 2024

თბილისი, საქართველო



შპს ფეი უნიქარდი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	3	3,196,664	372,671
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	3	(411,603)	(261,752)
მთლიანი მოგება		2,785,061	110,919
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	4	(128,421)	(276,710)
ხელფასის ხარჯი		(2,059,510)	(1,299,499)
იჯარა		(188,245)	(112,364)
კომუნიკაციის ხარჯი		(109,429)	(50,437)
საკომისიო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ხარჯები		(728,757)	(454,226)
ცვეთა და ამორტიზაცია		(198,387)	(151,138)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(391,874)	(449,295)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(18,663)	(15,977)
სხვა ზარალი/(შემოსულობები), ნეტო		(5,860)	(26,277)
საოპერაციო მოგება		(1,044,085)	(2,725,004)
ფინანსური შემოსავალი		6,231	164,479
ფინანსური ხარჯი		(321,705)	(284,789)
ზარალი დაბერგვამდე		(1,359,559)	(2,845,314)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(1,359,559)	(2,845,314)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/ზარალი		(1,359,559)	(2,845,314)

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ნ. ენუშია


 მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფვი უნიქარდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	100,426	170,001
არამატერიალური აქტივები	7	471,380	499,513
სულ გრძელვადიან აქტივები		571,806	669,514
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	361,248	151,059
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	435,925	538,793
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	10	19,765,898	4,032,082
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,716,625	1,587,646
სულ მიმდინარე აქტივები		22,279,697	6,309,581
სულ აქტივები		22,851,503	6,979,095
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,581,919	2,581,919
გაუნაწილებელი მოგება		(6,584,463)	(5,224,905)
სულ კაპიტალი		(4,002,544)	(2,642,985)
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	21,984,539	4,828,129
გადასახდელი გადასახადები		4,199	18,555
სასესხო ვალდებულებები	12	4,865,309	4,775,396
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,854,047	9,622,080
სულ ვალდებულებები		26,854,047	9,622,080
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,851,503	6,979,095

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ნ. ქებურია


მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,392,337	(2,379,590)	12,747
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება წმინდა მოგება/ზარალი	189,582	(2,845,314)	189,582 (2,845,314)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,581,919	(5,224,905)	(2,642,985)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება წმინდა მოგება/ზარალი	-	(1,359,559)	- (1,359,559)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,581,919	(6,584,463)	(4,002,544)

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ნ. კობერია


 მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
წლის მოგება	(1,359,559)	(2,845,314)
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	88,106	71,536
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	110,281	79,602
საპროცენტო ხარჯი	322,638	284,781
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(3,690)	(164,470)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(842,224)	(2,573,865)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	98,324	(398,086)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(210,189)	(97,887)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(14,356)	2,468
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16,962,656	3,842,151
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	15,994,210	774,782
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	114	-
ძირითადი საშუალებების მიღება	(18,645)	(92,157)
არამატერიალური აქტივების მიღება	(82,148)	(227,982)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(100,678)	(320,139)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	-	(1,709,115)
სესხის მიღება	-	6,865,780
გადახდილი პროცენტი	(210,817)	(253,268)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	189,582
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(210,817)	5,092,979
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	180,081	(587,628)
ფული და ფულადი ექვივალენტის წეტო ცვლილება	15,862,795	4,959,994
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	5,619,728	659,734
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	21,482,524	5,619,728

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქუბურია

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

14 აგვისტო, 2024

თბილისი, საქართველო

შპს ფეი უნიქარდი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	3	3,196,664	372,671
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	3	(411,603)	(261,752)
მთლიანი მოგება		2,785,061	110,919
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	4	(128,421)	(276,710)
ხელფასის ხარჯი		(2,059,510)	(1,299,499)
იჯარა		(188,245)	(112,364)
კომუნიკაციის ხარჯი		(109,429)	(50,437)
საკომისიო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ხარჯები		(728,757)	(454,226)
ცვთა და ამორტიზაცია		(198,387)	(151,138)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(391,874)	(449,295)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(18,663)	(15,977)
სხვა ზარალი/(შემოსულობები), ნეტო		(5,860)	(26,277)
საოპერაციო მოგება		(1,044,085)	(2,725,004)
ფინანსური შემოსავალი		6,231	164,479
ფინანსური ხარჯი		(321,705)	(284,789)
ზარალი დაბერგვრამდე		(1,359,559)	(2,845,314)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(1,359,559)	(2,845,314)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/ზარალი		(1,359,559)	(2,845,314)

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქებურია

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	100,426	170,001
არამატერიალური აქტივები	7	471,380	499,513
სულ გრძელვადიან აქტივები		571,806	669,514
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	361,248	151,059
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	435,925	538,793
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	10	19,765,898	4,032,082
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,716,625	1,587,646
სულ მიმდინარე აქტივები		22,279,697	6,309,581
სულ აქტივები		22,851,503	6,979,095
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,581,919	2,581,919
გაუნაწილებელი მოგება		(6,584,463)	(5,224,905)
სულ კაპიტალი		(4,002,544)	(2,642,985)
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	21,984,539	4,828,129
გადასადელი გადასახადები		4,199	18,555
სასესხო ვალდებულებები	12	4,865,309	4,775,396
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,854,047	9,622,080
სულ ვალდებულებები		26,854,047	9,622,080
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,851,503	6,979,095

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქებურია

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,392,337	(2,379,590)	12,747
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება წმინდა მოგება/ზარალი	189,582	(2,845,314)	189,582 (2,845,314)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,581,919	(5,224,905)	(2,642,985)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება წმინდა მოგება/ზარალი	-	(1,359,559)	- (1,359,559)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,581,919	(6,584,463)	(4,002,544)

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქეზურიძე

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
წლის მოგება	(1,359,559)	(2,845,314)
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	88,106	71,536
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	110,281	79,602
საპროცენტო ხარჯი	322,638	284,781
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(3,690)	(164,470)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(842,224)	(2,573,865)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	98,324	(398,086)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(210,189)	(97,887)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(14,356)	2,468
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16,962,656	3,842,151
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	15,994,210	774,782
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	114	-
ძირითადი საშუალებების მიღება	(18,645)	(92,157)
არამატერიალური აქტივების მიღება	(82,148)	(227,982)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(100,678)	(320,139)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	-	(1,709,115)
სესხის მიღება	-	6,865,780
გადახდილი პროცენტი	(210,817)	(253,268)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	189,582
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(210,817)	5,092,979
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	180,081	(587,628)
ფული და ფულადი ექვივალენტის წეტო ცვლილება	15,862,795	4,959,994
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	5,619,728	659,734
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	21,482,524	5,619,728

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქებურია

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ფეი უნიქარდი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებული ორგანოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართია თბილისი, ძველი თბილისის რაიონი ვ. პეტრიაშვილის ქ N 25-27-29/4, ბ. 26.

კომპანიის დამფუძნებელია სულხან პაპაშვილი 50 % წილით და ვოლოდიმირ ნოსოვი 50% წილით. კომპანიის ღირებულება ნანა ქებურია.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადახდო პროვაიდერის მომსახურებით მომხმარებლის უზრუნველყოფა. 2017 წლის 3 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა შპს „ფეი უნიქარდი“ დაარეგისტრირა როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეგისტრაციის ნომერი 0052-9004), რაც კომპანიას აძლევს უფლებას გამოუშვას ელექტრონული ფული, განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ოპერაციები.

2019 წლის თებერვალში შპს „ფეი უნიქარდი“ გახდა Visa International/Mastercard აფილირებული წევრი და როგორც პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონულ საფულეს - უნი საფულეს და არასაბანკო საგადახდო Visa/Mastercard ბარათებს. უნისაფულე მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააერთიანოს საგადახდო და დაგროვების ბარათები ერთ სივრცეში, გადაიხადოს თანხა ნებისმიერ ობიექტში და ვებ პლატფორმებზე, გადარიცხოს ან დააკონვერტიროს თანხა ან გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალებდა უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა ბაზრისა და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინაგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტიაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს ფეი უნიქარი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ასევე ნომინალური ფლობის ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ნომინალური ფლობის ანგარიშზე განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთი მოიცავს საბანკო ანგარიშს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ყოველდღიური ოპერაციებისთვის და მომსახურების მომწოდებელთა წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება ალიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია არ ფლობს უიმედო მოთხოვნებს, რადგან დანერგილი საღირსეზო პოლიტიკა უზრუნველყოფს დებიტორის ვალიანობის ანალიზს და ყველა წარმოქმნილი მოთხოვნაზე შესაბამისი კომპენსაციის მიღებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სასაჩუქრე და პლასტიკურ ბარათებს, რომლებიც მომხმარებელს გადაეცემა შესაბამისი პროდუქტის შეძენისას და რომლის საშუალებითაც ის ახორციელებს შემდგომ განაღდებას.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 5-7 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას, ვებ-გვერდს და ბილინგის სააღრიცხვო სისტემებს. შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს პროგრამული პროდუქტის შექმნის/გაუმჯობესების ან მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯების დაკავშირებით.

კომპანიის მიერ შეძენილი ან შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია საოპერაციო პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს ფლობს, რომელთა ამორტიზაციას ახდენს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების მოსალოდნელ ვადაზე.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული ავანსები შედგება მომხმარებლის მიერ ელექტრონულ საფულეზე განთავსებული თანხებისგან, რომლებსაც ვოლუტზე განთავსებული აქვს სხვადასხვა ექვივალენტში არსებული ნაშთები და შემდგომ ახორციელებს მის შესაბამის განკარგვას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ამონაგები

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამონაგების აღიარება ხდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის კლიენტისთვის დაპირებულ საქონელზე კონტროლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხებისა. ამონაგების აღიარება ხდება დისკონტების, პროდუქტის დაბრუნებების, დამატებული ღირებულების გადასახადის თანხების გამოკლებით.

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით.

კომპანია სახელშეკრულებო მოვალეობას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაში მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო მოვალეობაა:

- საკომისიო ამონაგების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ და გამოითვლება მომსახურების მომწოდებელბთან განსაზღვრული პრეისკურანტების მიხედვით.
- სხვა გაწეული მომსახურება მეტწილად წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერას და ტექნიკურ მომსახურებას, რომლებიც გაწევით დილერებს და გამოითვლება დილერებთან შეთანხმებული ტარიფის საფუძველზე. გაწეული მომსახურებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.
- საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დროში პროპორციული გადანაწილებით და აისახება ფინანსურ შემოსავალში.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებებს.

შპს ფეი უნიქარდი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 3 - ამონაგები და მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

	2023	2022
ელექტრონული საფულე	2,936,645	209,442
კომუნალურების გადახდის ონლაინ პლატფორმა	11,737	11,708
სასაჩუქრე ბარათები	233,113	116,625
სხვა შემოსავლები	15,168	34,896
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(411,603)	(261,752)
სულ მთლიანი მოგება	2,785,061	110,919

მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები მოიცავს ძირითადად სხვადასხვა პლატფორმებით სარგებლობისათვის გადახდილ საკომისიო გადასახდელებს და მომხმარებელთა ბაზის წარმოებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

შენიშვნა 4 - რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები

	2023	2022
სმს რეკლამის ხარჯები	49,521	132,191
მარკეტინგული მომსახურება	77,088	144,519
სარეკლამო რგოლის განთავსების ხარჯები	863	-
სარეკლამო ხარჯები	949	-
სულ სარეკლამო ხარჯი	128,421	276,710

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
მომსახურების ხარჯები	45,462	5,144
საკონსულტაციო ხარჯები	77,576	257,619
კომუნალური ხარჯები	37,416	13,588
საოფისე ხარჯები	17,816	20,552
კომპიუტერის ხარჯები	4,372	4,072
საბანკო ხარჯები	13,142	9,235
საგადასახადო ხარჯები	1,352	1,597
პროგრამული მომსახურების ხარჯები	60,000	15,000
სხვა ხარჯები	134,739	122,488
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	391,874	449,295

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საბალანსო ღირებულება	312,506	550	313,056
დაგროვილი ცვეთა	(163,676)	-	(163,676)
	148,829	550	149,379
ბალანსი 31/12/2021	148,915	466	149,381
დანამატები	71,494	20,663	92,157
აქტივების ჩამოწერა	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(70,198)	(1,337)	(71,536)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-
ბალანსი 31/12/2022	150,211	19,792	170,003
დანამატები	16,035	2,610	18,645
აქტივების ჩამოწერა	(5,013)	-	(5,013)
ცვეთა პერიოდისათვის	(83,457)	(4,649)	(88,106)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	4,899	-	4,899
ბალანსი 31/12/2023	82,674	17,753	100,427
ბალანსი 31/12/2022	150,211	19,792	170,003
ბალანსი 31/12/2023	82,674	17,753	100,427

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა

საბალანსო ღირებულება	489,031
დაგროვილი ცვეთა	(137,896)
	351,134
ბალანსი 31/12/2021	351,134
დანამატები	227,981
ცვეთა პერიოდისათვის	(79,602)
ბალანსი 31/12/2022	499,513
დანამატები	82,148
ცვეთა პერიოდისათვის	(110,281)
ბალანსი 31/12/2023	471,380
ბალანსი 31/12/2022	499,513
ბალანსი 31/12/2023	471,380

არამატერიალური აქტივების ღირებულება მიმდინარე წელს გაზრდილია პლატფორმის გაუმჯობესების და მისი ფუნქციონალის გასაუმჯობესებლად გაწეული დანახარჯებით, რომელმაც 2023 წელს შეადგინა 82,148 ლარი ხოლო 2022 წელს 227,981.

შპს ფეი უნიჟარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
სასაჩუქრე პლასტიკური ბარათები	3,677	798
არასაბანკო პლასტიკური ბარათები	345,414	150,261
გათამაშების საჩუქრები	5,327	-
სხვა მარაგები	6,830	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	361,248	151,059

შენიშვნა 9 - მოთხოვნები და სხვა წინასწარი გადახდები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	311,712	316,591
გადახდილი ავანსები	111,179	195,679
წინასწარი გადახდები	13,034	26,523
სულ მოთხოვნები და სხვა წინასწარი გადახდები	435,925	538,793

შენიშვნა 10 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	731,028	373,427
ნომინალური მფლობელობის ანგარიში ეროვნული ვალუტა	5,572,249	3,759,569
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	966,523	1,189,203
ნომინალური მფლობელობის ანგარიში უცხოურ ვალუტა	14,193,649	272,513
ნაღდი ფული სალაროში	19,074	25,016
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	19,074	25,016
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	21,482,524	5,619,728

ნომინალური ფლობის ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები მოიცავს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად ფლობილ ფულად სახსრებს რომელიც გამოიყენება მომხმარებლების მიერ ელექტრონულ საფულეზე განთავსებული ფულადი სახსრების ბრუნვის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	376,142	347,380
ელექტრონულ საფულეზე მომხმარებლის ანგარიშები	21,389,438	4,325,669
მიღებული ავანსები	196,571	98,300
გადასახდელი ხელფასები	22,388	56,780
სულ მიმდინარე ვალდებულებები	21,984,539	4,828,129

შპს ფეი უნიჟარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - სასესხო ვალდებულებები

პერიოდის ბოლოს არსებული სასესხო ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებს და მასზე დარიცხულ საპროცენტო ვალდებულებებს

	31.12.2023	31.12.2022
მიღებული სესხები		
VOLODIMIR NOSOV	4,706,450	4,728,500
გადასახდელი პროცენტები		
VOLODIMIR NOSOV	158,859	46,896
სულ სასესხო და საპროცენტო ვალდებულება	4,865,309	4,775,396

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვალიანობა	31.12.2023 ლარი	31.12.2022 ლარი
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	დოლარი	7%	13/04/2029	4,706,450	4,728,500
სულ მოკლევადიანი სესხები				4,706,450	4,728,500

საანგარიშო პერიოდში სესხებზე და მასზე დარიცხულ პროცენტებზე მოძრაობა ნაჩვენებია შესაბამის ცხრილებში:

	2023	2022
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	4,775,396	299,524
სესხზე დარიცხული პროცენტი	322,638	284,781
მიღებული ფულადი სახსრები	-	6,865,780
გადახდილი პროცენტი	(210,817)	(253,268)
გადახდილი ძირი თანხა	-	(1,709,115)
დადებითი საკურსოს ხვაობა	(21,908)	(712,307)
სულ ნასესხები სახსრები	4,865,309	4,775,396

13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

შპს ფეი უნიჟარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურება 2023 წელს შეადგენდა 269,753 ლარს, ხოლო 2022 წელს 127,656 ლარს.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	53,811	219,719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	148,365	211,899
სასესხო ვალდებულება	4,706,450	4,728,500
საპროცენტო ვალდებულება	158,859	46,896

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

	2023	2022
მომსახურების შეძენა	389,502	319,268
გაწეული მომსახურებები	1,529,472	216,751
სესხზე დარიცხული პროცენტი	-	24,572

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.